ევროკავშირის მხარდაჭერილი მედიაკონკურსი სურსათის უვნებლობის საკითხებზე

ეს დოკუმენტი შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG) და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDG) მომხმარებლის უფლებების დაცვის პროგრამა, ევროკავშირისა და ორგანიზაციის „პური მსოფლიოს“ (გერმანია) მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის „გაზრდილი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა და მომხმარებელთა ცნობიერება“ ფარგლებში, **აცხადებს კონკურსს სურსათის უვნებლობის საკითხებზე საუკეთესო მედიანამუშევრების გამოსავლენად.**

კონკურსის მიზანი და ამოცანა

<u>კონკურსის მიზანია</u> სურსათის უვნებლობის მიმართულებით სამოქალაქო განათლების, მონიტორინგისა და მონაწილეობის დონის გაზრდა.

<u>კონკურსის ამოცანაა</u> ქართული მედიის ხელშეწყობა სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებაში.

საკონკურსო მასალის თემატიკა

საკონკურსო მასალა ქვემოთა ჩამონათვალიდან ერთ ან რამდენიმე საკითხს უნდა მოიცავდეს:

- ინფორმაცია, რომელიც დაეხმარება მომხმარებლებს სურსათიდან მომდინარე საფრთხეებისაგან უკეთ იყონ დაცული.
- საქართველოში სურსათის უვნებლობის სახელმწიფო რეგულირებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებ(ებ)ის საქმიანობა და მათ წინაშე არსებული სირთულეები.
- სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული სისტემური პრობლემა.
- სურსათის უვნებლობის მოთხოვნების დარღვევის კონკრეტული შემთხვევა.

სასურველია მიეთითოს შემდეგი:

- შეუწყობს თუ არა ხელს მდგომარეობის გაუმჯობესებას საქართველოს ევროკავშირთან დაახლოება.
- როგორ უწყობს ხელს ევროკავშირი საქართველოში სურსათის უვნებლობის მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ჯილდოები

კონკურსის გამარჯვებულები მიიღებენ ფულად ჯილდოებს 750 ევროს ოდენობით[1] შემდეგი ნომინაციების მიხედვით:

- საუკეთესო ვიდეონამუშევარი (2 ჯილდო).
- საუკეთესო აუდიონამუშევარი (2 ჯილდო).
- საუკეთესო სტატია (გაზეთი/ვებსაიტი, 2 ჯილდო).

ვის შეუძლია კონკურსში მონაწილეობა?

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ ჟურნალისტებს, რომლებიც საქართველოში რეგისტრირებულ მედიასაშუალებებში მუშაობენ.

უპირატესობა მიენიჭებათ პროექტის სამიზნე რეგიონებში (კახეთი, იმერეთი, გურია, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი) მომუშავე ჟურნალისტებს.

განაცხადი შეიძლება წარმოადგინოს მასალის ავტორმა ან ავტორთა ჯგუფმა.

კონკურსში მონაწილე პირმა ან პირთა ჯგუფმა შეიძლება წარმოადგინოს რამდენიმე ნამუშევარი.

ერთი და იგივე ნამუშევარი შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ ერთ ნომინაციაზე.

ერთი და იმავე მედიასაშუალებიდან ერთზე მეტი გამარჯვებული ვერ გამოვლინდება.

საკონკურსო მასალა და მისი ვადები

კონკურსში წარმოდგენილი მასალა გამოქვეყნებული/ეთერში გასული უნდა იყოს 2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 29 თებერვლის ჩათვლით.

შეიძლება წარმოდგენილი იქნეს როგორც ცალკეული ნამუშევარი (გადაცემა, სიუჟეტი, სტატია), ისე მათი ციკლი.

შერჩევის პროცედურა

შეფასების პირველ ეტაპზე, განიხილება წარმოდგენილი განაცხადების შესაბამისობა კონკურსის მიზანთან და ამოცანასთან. ის განაცხადები, რომლებიც შეუსაბამოდ ჩაითვლება, შეფასების შემდეგ სტადიაზე ვერ გადავა.

შეფასების მეორე ეტაპზე განაცხადები შეფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:

	შეფასების კრიტერიუმი	ქულა
1	რამდენად აქტუალურია შერჩეული თემა/საკითხ(ებ)ი	30 ქულა

[1] გაიცემა ევროში მითითებული თანხის ეკვივალენტი ლარში. მითითებულია დარიცხული თანხა, რომელიც დაიბეგრება კანონმდებლობის შესაბამისად.

2	რამდენად სიღრმისეულადაა გამოკვლეული/განხილული საკითხი	10 ქულა
3	რამდენად გასაგები და საინტერესოა ნამუშევარი მაყურებლის, მსმენელისა ან მკითხველისათვის	20 ქულა
4	რამდენად დაცულია [საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიით](#) გათვალისწინებული პრინციპები	20 ქულა
5	რამდენად ორიგინალურია და ფასეულია ნამუშევარი, შემოქმედებითი თვალსაზრისით	10 ქულა
6	რამდენადაა საქართველოს სახელმწიფო ენაზე მომზადებული მასალა ენობრივად გამართული	10 ქულა
სულ		100 ქულა

- მომზადებულ მასალაში რესპონდენტებს შორის გენდერული ბალანსის დაცვა უპირატესობად ჩაითვლება.

- ზემოთ მითითებული ქულები გამოიყენება განაცხადების რეიტინგის შესადგენად, რის საფუძველზეც გამოიყოფა მოკლე სია იმ განაცხადებისა, რომლებიც საკონკურსო კომისიის სხდომაზე განიხილება. კონკურსის გამარჯვებულების გამოვლენა მხოლოდ ქულების მიხედვით არ მოხდება.

განაცხადების წარდგენა

- კონკურსში მონაწილეობის მისაღებად უნდა შეივსოს განაცხადის ფორმა (დანართი 1) ქართულ ენაზე.
- განაცხადის ფორმას თან უნდა ახლდეს მედიამასალის ინტერნეტბმული, ან, ასეთის არარსებობის შემთხვევაში, მედიამასალის ელექტრონული ასლი.
- საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა ენებზე წარმოდგენილ მასალას თან უნდა ახლდეს ქართული თარგმანი.
- განაცხადები (PDF ფორმატში), თანმხლებ მასალებთან ერთად, უნდა გაიგზავნოს ელფოსტის მისამართზე tamar.gobejishvili@csrdg.ge. წერილის საგნის ველში მიუთითეთ „მედიაკონკურსი - სურსათის უვნებლობა“. კონკურსის მონაწილეებს გაეგზავნებათ განაცხადების მიღების დასტურები.

განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2024 წლის 14 მარტი.

არაუგვიანეს 2024 წლის 15 აპრილისა, კონკურსის ყველა მონაწილე მიიღებს CSRDG-ის წერილობით პასუხს, მისი განაცხადის შერჩევასთან დაკავშირებით.

კონსულტაციები

კონკურსთან დაკავშირებით კითხვების შემთხვევაში შეგიძლიათ მიმართოთ CSRDG-ის მომხმარებლის უფლებების დაცვის პროგრამის ასისტენტს, თამარ გობეჯიშვილს, ელფოსტა: tamar.gobejishvili@csrdg.ge, ტელ.: 555 58 68 87.

ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, რომელიც 1995 წელს დაფუძნდა. მისი მისიაა, საქართველოში საზოგადოების კეთილდღეობისათვის, კარგი მმართველობის, მდგრადი, ინკლუზიური ეკონომიკური განვითარებისა და აქტიური სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების ხელშეწყობა. ორგანიზაციის შესახებ სრული ინფორმაციისათვის იხილეთ საიტი https://csrdg.ge/.

საქართველოში მომხმარებლის უფლებების დაცვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით ორგანიზაცია 2009 წლიდან მუშაობს და ამ მიმართულებით მისი ძირითადი საქმიანობებია: საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობისა და ბაზრის მონიტორინგი; საკანონმდებლო რეფორმების ადვოკატირება. მეტი ინფორმაცია მომხმარებლის უფლებების დაცვის პროგრამის შესახებ იხილეთ საიტზე momxmarebeli.ge.

ინფორმაცია პროექტის შესახებ

კონკურსი ცხადდება ევროკავშირის „სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის“ (ENPARD – Georgia) მეოთხე ფაზის (ENPARD IV) ფარგლებში, ასევე, ორგანიზაციის „პური მსოფლიოს“ (გერმანია) მიერ დაფინანსებული პროექტის „გაზრდილი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა და მომხმარებელთა ცნობიერება“ ფარგლებში. პროექტს ახორციელებს კოალიცია, რომელშიც შედიან საქართველოს ფერმერთა ასოციაცია (წამყვანი პარტნიორი), საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი და საქართველოს მთიანი რეგიონების ამბროლაურის რაიონის ფერმერ-მეფუტკრეთა ასოციაცია.

პროექტი მიზნად ისახავს:

1. მერძევეობისა და მეფუტკრეობის მიწოდების ჯაჭვის მხარეების (ფერმერები, ძირითადი მწარმოებლები, სურსათის სხვა ბიზნესოპერატორები) პრაქტიკული უნარ-ჩვევებით, ცოდნითა და გაძლიერებული შესაძლებლობებით აღჭურვა, რათა გაუმჯობესდეს მათი საქმიანიბის შესაბამისობა სურსათის უვნებლობისა და სანიტარიულ/ფიტოსანიტარიულ ნორმებთან;
2. დაინტერესებული მხარეების (საჯარო, საცალო ვაჭრობის, ფერმერების/მწარმოებლების, ლაბორატორიების, მომხმარებლების) გაუმჯობესებული კომუნიკაცია და მონაწილეობა ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებულ რეფორმის პროცესში;
3. მომხმარებლების, სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებისა და მედიის ცნობიერების ამაღლება სურსათის უვნებლობის მარეგულირებელი მოთხოვნებისა და მომხმარებლის უფლებების შესახებ, უკეთ ინფორმირებული მომხმარებლის და მისი ყიდვის გაცნობიერებული გადაწყვეტილების და ხარისხიან პროდუქტზე გაზრდილი მოთხოვნის ხელშეწყობის მიზნით.

პროექტის სამიზნე რეგიონებია: კახეთი, იმერეთი, გურია, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი.

კონკურსი ტარდება ევროკავშირის „სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის“ (ENPARD – Georgia) მეოთხე ფაზის (ENPARD IV)

ფარგლებში, ასევე, ორგანიზაციის „პური მსოფლიოს“ (გერმანია) მიერ დაფინანსებული პროექტის „გაზრდილი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა და მომხმარებელთა ცნობიერება“ მხარდაჭერით. პროექტს ახორციელებს კოალიცია, რომელშიც შედიან საქართველოს ფერმერთა ასოციაცია (წამყვანი პარტნიორი), საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი და საქართველოს მთიანი რეგიონების ამბროლაურის რაიონის ფერმერ-მეფუტკრეთა ასოციაცია.